

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია “ფორმულას“ დაკვეთით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, ეგზეტოლი, რომელიც განახორციელა საერთაშორისო კომპანია Edison Research-მა ([www.edisonresearch.com](http://www.edisonresearch.com)). Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალიპროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. დამკვეთი—შპს „სამაუწყებლო კომპანია “ფორმულა“  
(ს/კ/შ), მისამართი: ვაჟაფშაველას გამზ. N45, თბილისი, 0177, საქართველო.
2. კვლევა ფასიანია თუ უფასო: კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია ფორმულას“ დაკვეთით.
3. ორგანიზაცია, რომელმაც ჩატარა კვლევა: სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 6 ვესტკლიფ ქუჩა, სამერვილ, ნიუჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. კვლევის ჩატარების დრო: 31.10.2020.
5. გამოკითხვის მეთოდი: პირისპირი გამოკითხვა.
6. გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:
  - რომელ პარტიას მიეცით ხმა დღეს?
  - თქვენი სქესი?
  - რა ასაკის ბრძანდებით?
  - საბოლოოდ როდის გადაწყვიტეთ რომელ პარტიას მისცემდით ხმას?
  - ყველაზე მეტად რომელი საკითხი იყო გადამწყვეტი დღევანდელ თქვენს არჩევანში?
  - საქართველოს პარლამენტის რომელი პარტიის მაჟორიტარ კანდიდატს მიეცით ხმა დღეს?
  - თქვენი განათლება?
  - თქვენი დასაქმების სტატუსი?
  - თქვენი ფინანსური მდგომარეობა ბოლოს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გასული 4 წლის მანძილზე?
7. შესაძლო ცდომილების ფარგლები: შესაძლო ცდომილება  $\pm 1.5\%$ , 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
8. კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია: საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. შერჩევის არეალი: საქართველო (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებისა).
10. შერჩევის ზომა: 11,527

11. **შერჩევის ტიპი:** შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარიშანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში), 115 უბანი.
12. **მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა:** დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის და ასაკის პარამეტრებით.
13. **კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი:** 11,527 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
14. **ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს:** შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.

15. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერმოხერხდა: 40% წარმატებული ინტერვიუ
16. ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე: მონაცემები ეფუძნება 31.10.2020 არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 11,527 რესპონდენტთა აზრს. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: [info@edisonresearch.com](mailto:info@edisonresearch.com). [www.edisonresearch.com](http://www.edisonresearch.com)